# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 355. კვირა, 9 ოქტომბერი 1905 წ. გაზეთის № 2928.

### სახელმწიფო სათათბიროს გამო, რუსეთისა, საქართველოსი, ფინლიანდიის და სხვა ადგილების მცხოვრებნი.



ქართლელი.



ოდესელი ებრაელი.



ბესარაბიელი.



პოლონელი.



მეგრელი.



ტულის მცხოვრები.



ფინი.



ყაზანელი მაჰმადიანი.



სომეხი.



ნიჟნი-ნოვგოროდის მცხოვრებნი.



სომეხი.



ქურთი.

# მზეს დავნატრულდით

(ლექსი პროზით)

იწყებოდა გაზაფხული. განმაახლებელი და სიცოცხლის აღმგზენი ხანა დგებოდა ბუნებაში, ცხოველმყოფელის მზის სხივებმა გამოაღვიძა მცენარენი, მწერები ცხოველები... ხეები ტურფად შეიმოსნენ ნაზის ფოთლით. ვაშლის, ატმის და მსხლის ხეხილი გადიფურჩქა ყვავილებით, ბუზი, ფუტკარი, პეპელა ათასობით დაჰსტრფოდა მათ.

მზე ესროდა სიცოცხლით სავსე სხივებს დიდად მომთმენ ქართველ გლეხის ზურგს, გლეხი-კი, იმედებით სავსე, ჰღვრიდა ოფლს და ტკბილად ოცნებობდა მომავალზედ...

კეთილი მთვარე ღამღამობით იხევე ეშხით სამსე იდუმალობით ანათებდა არე-მარეს, თან ვარსკვლავები დასციმციმებდნენ ცოდვილ ქვეყანას და ელვარებით აბრწყინვებდნენ გაღვიძებულ ბუნებას!.. ბულბული, ახლად მოსული, დაჰსტვენდა ამა სოფლის სიამეს!..

უცებ ბუნებამ მოიქურუმა: ცა გაივსო უსიამოვნო ღრუბლებით, ლოდივით დააწვა იგი ქვეყანას... ვერც ერთი ცხოველმყოფელი სხივი მზისა ველარ ახწევდა ქვეყანას... ვერც ვარსკვლავის... არცა რაიმე სინათლე მოსჩანდა. ცივმა წვიმამ იწყო თქორვა... დათუთქა ყვავილები, კოკორი. ყურები ჩამოაყრევინა ხეებს-მცენარეებს... ხმა გაუკმიდა ბულბულს, ნიადაგი აატალახა და დააყენა ყველგან წუმპის ტბორენი...

შესწყდა მიმოსვლა, საქმიანობა, მუშაობა. ყველა სცდილობდა შესვლას საფარ ქვეშ, საიდანაც უსიამოვნოდ გაჰყურებდა სულის შემხუთავ ამინდს... ვერვინ ატყობდა, სად იყო მზე, ან რა ჟამი იყო დღისა: დილა, საღამო, შუადღე. ზოგს ისე მოჰბეზრდა, რომ სიცოცხლე ეზარებოდა...

მზეს დავნატრულდითო,—შეჰჩიოდა ერთმანეთს ხალხი. ბევრი სულ-წასული ტანჯვით ამბობდა: ველირსებით-და იმ დალოცვილს, მის ძვირფას სხივებსო?!..



პოდოლის მეხოვრეები



სამოედები.

ღრუბლებს-კი უფრო ემატებოდა სისქე... შავი უსიამოვნო ფერი... ბურუსი ძვლებში უვლიდა. ზოგჯერ ნიავიც დაიძროდა ხოლმე, მაგრამ ერთ ადგილიდან რომ გადაჰხვეტდა ღრუბლებს, გამოაჩენდა სერს, მთას, მაღლობს, მის ნაცვლად ერთ წამს სხვა უფრო შავბნელი ღრუბელი წამოეფარებოდა... ხალხს გული, ხალისი დაეხურა და ისმოდა უსიამოვნო ბუტბუტი წინაალმდეგ ბუნებისა.

მეც ვბრაზობდი, ვსაყვედურობდი ბუნებას და ვნატრობდი ძრიელ ქარიშხალს, მაგრამ სად იყო?..

ერთხელ, შუაღამე იქმნებოდა გადასული, გარედ გამოველ და ჩავაჩერდი უკუმ, უსიამოვნო სიბნელეს... უცებ იელა. საშინელი სინათლის ხლაკვნისაგან თვალებზედ ხელი მივიფარე. ამ დროს გაისმა ძლიერი ხმა ჭექა-ქუხილისა. ამ გაელვებას მოჰყვნენ სხვები, უფრო ელვარენი და ნათელნი... ასტყდა საშინელი ჭექა-ქუხილი. ღრუბლები შეჯგუფდნენ და ატირდნენ საშინელის შხაპუნა წვიმით. გათენებამდის ჩამოიცალნენ ქვეყანაზედ. ქვეყანაც უძლებდა, იდგნობდა!..

გათენდა! გაწითლდა საამოთ აღმოსავლეთი, ცაც საამოდ გალურჯდა და ზედ ნაზად აფრიალდა ვარსკვლავები.. უცებ უფსკრულიდან გამოჰკრთა მზის ცხოველ-მყოფელი სხივებიც

სადღაა სევდა, გაჭირება, ყვედრება?! ყველა ხარობს, ტყეც ხმაურობს. სიცოცხლე აღუღდა. სიცოცხლეს ლოცვა-კურთხევას უგზავნიან. ბუნების ნიჭით სტკბებიან!..



ბურიატი



ფინი.



ყაზახი ბორისპილიდან.

ოჰ, კარგია სიცოცხლე ნათელში! კარგია, როდესაც გათბობს და გინათებს ცხოველ-მყოფელი მზე!

ვაი უმზეობას, უსინათლობას, უსითბოობას!..

ზაქარია გულისაშვილი

# წვრილი ამბები

**ქალთა კლუბები ამერიკაში.** ცხოვრების სხვადასხვაობით მდიდარ ამერიკაში ერთ საკვირველ მოვლენას წარმოადგენს სიმრავლე ქალთა კლუბებისა, რომელნიც საყურადღებოა არა მარტო სიმრავლით, არამედ ორიგინალურ მიმართულებითაც. მარტო კალიფორნიაში ქალთა კავშირს 10,000 კლუბი აქვს. ჩრდილოეთ ამერიკის თვითეულ შტატში ამ ჟამად ქალთა კლუბების რიცხვი ბევრით აღემატება ინგლისის მამაკაცთა კლუბებს, ლონდონს გარდა. ამ კლუბების უმეტესი ნაწილი დაარსდა უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში, თუმცა კი ზოგი 1865 წლიდანაც არსებობს. შეერთებულ შტატების ქალთა კლუბებს აზრადა აქვთ „სუსტ სქესთა“ ემანსიპაცია. მაგრამ ბევრი სხვა მიზანსაც მისდევს. კალიფორნიაში, მაგალითად, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პიონერ ქალთა კლუბს, რომლის წევრებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენ ამერიკის პირველ დროის მკვიდრთა შთამომავალნი ვართო. შესანიშნავია, რომ სახელგანთქმული ამერიკელი ქალები იშვიათად იღებენ მონაწილეობას რომელსამე კლუბში. სამაგიეროდ, საშუალო წრის ქალები მეტ დროს კლუბს ანდომებენ. ამერიკელი ქალები ძალიან ელტვიან საზოგადოებაში გარევას და კლუბები მოხერხებულ ადგილად მიაჩნიათ. მდიდარი კლუბები შიგნით მეტად გემოვნურად და ხელოვნურად არის მოწყობილი. ამასთან მოსამსახურეებად თითქმის სულ მამაკაცები არიან. აღმოსავლეთ შტატებში არის ისეთი კლუბები, სადაც ძალიან მისდევენ პიკერის თამაშს, თამბაქოს წევას და, საზოგადოდ, სცდილობენ ყველაფერში მამაკაცებს მიჰბაძონ. ზოგიერთები ოპიუმსაც სწევენ. კლუბების ნახევარს აზრადა აქვს მეცნიერების შესწავლა, დისპუტები, გამოჩენილ მწერალთა, უმთავრესად შექსპირისა და ბროუნინგის, ანალიზი. არის აგრეთვე ხელოვნებისა, პოეტებისა, და დრამატიულ მსახიობთა კლუბები; ძველ ფაიფურის ნივთეულობათა შემგროვებელი, ისტორიულ მცენარეთა და შენობათა დამცველი კლუბები; ჭრის, აკინძვისა და სხვა კლუბები. მაგრამ რა აზრიც უნდა ჰქონდეს თვითეულ კლუბს, წევრების უმთავრეს მიზანს მაინც საზოგადოებრივი ცხოვრება შეადგენს. თვითოეულ ქალაქს, თვითოეულ სოფელს, თუ კი მცხოვრებთ რაიმე შეძლება მოეპოებათ, საკუთარი კლუბი აქვს. თვითოეულ კლუბს ჰყავს თავმჯდომარე, ან მდივანი, ან ხაზინადარი ქალი. წლიური შესატანი ფული საშუალოდ 2 მანეთიდან 100 მანეთამდეა.



მხნავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს.



რედაქტორ-გამომცემელი ალ. ვ. ჯაბადარი